დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2024 წლის 1 მარტის №17 ბრძანებით

2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს მათი სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას, თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობას, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას.
2. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებითა და ფონდის გენერალური დირექტორის წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
3. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ სამეცნიერო მიმართულებებში, რომელთაც კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (დანართი 11) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:
    1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
    2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
    3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
    4. აგრარული მეცნიერებები;
    5. სოციალური მეცნიერებები;
    6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
    7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების კონკურსში გრანტის მოპოვების მიზნით, პროექტი უნდა წარმოადგინოს ახალგაზრდა მეცნიერმა და მასპინძელმა დაწესებულებამ ერთობლივად.
    ა) **ახალგაზრდა მეცნიერი** უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე (2024 წლის 1 მარტამდე) ბოლო 7 წლის განმავლობაში და რომელიც მოამზადებს და განახორციელებს პროექტს.
    ბ) **მასპინძელი დაწესებულების** სტატუსით კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ), კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ), აგრეთვე, საქართველოს

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

2. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე, სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

3. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს უნდა ჰყავდეს **მენტორი** - დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც უნდა ჰქონდეს პროექტის საკითხების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. მენტორი დაეხმარება ახალგაზრდა მეცნიერს მასპინძელ დაწესებულებაში პროექტის განხორციელებაში. მენტორის საქმიანობა არ ანაზღაურდება ფონდის მიერ.

4. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს შეიძლება ჰყავდეს **კონსულტანტ(ებ)ი**, საქართველოში ან უცხოეთში მოღვაწე დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას კვლევის პროცესში. კონსულტანტის საქმიანობა არ ანაზღაურდება ფონდის მიერ.

5. პროექტში შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩართული იყოს **დამხმარე პერსონალი:** მასპინძელი დაწესებულების ლაბორანტი, ბაკალავრიატის სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და დოქტორანტი.

6. ახალგაზრდა მეცნიერს კონკურსში გრანტის მიღება შეუძლია მაქსიმუმ ორჯერ.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს ამავე კონკურსით დაფინანსებული მიმდინარე პროექტის მქონე ახალგაზრდა მეცნიერს. პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და 2024 წლის 25 აპრილის მდგომარეობით არ არის დახურული.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 წელი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 6 თვეს.

2. ერთი საგრანტო პროექტისთვის წელიწადში ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს **30 000** ლარს, ორ წელიწადში - **60 000** ლარს.

3. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

   ა) **ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია** (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში **15 000** ლარს);

   ბ) **კვლევითი საქმიანობის ხარჯები** (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში **13 500** ლარს), რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

      ბ.ა) ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯებს, მათ შორის: ლაბორატორიულ ჭურჭელს, ქიმიურ რეაქტივებს, სპეცტანსაცმელს და სხვა ლაბორატორიულ სახარჯ მასალას, ასევე ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა საშუალებების შეძენას. ასევე, კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებულ აუცილებელი მომსახურების ხარჯებს. აღნიშნული ხარჯვითი ქვეკატეგორია არ მოიცავს ტექნიკის შეძენას;

      ბ.ბ) დამხმარე პერსონალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შრომის ანაზღაურების ხარჯებს;

      ბ.გ) საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯებს, მათ შორის ექსპედიციასა და საველე სამუშაოებთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს, როგორებიცაა: მგზავრობის (საწვავის შეძენის, ავტომობილის დაქირავების, მატარებლით, ავტობუსით და სხვა სატრანსპორტო

საშუალებით მგზავრობის ხარჯები), საცხოვრებელი ფართის დაქირავების, კვების, საველე აღჭურვილობის შეძენის და დღიური ნორმის ხარჯები (აღნიშნული ხარჯის ანაზღაურების შემთხვევაში, დაუშვებელია კვების ხარჯების გაწევა);

ბ.დ) პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯებს, მათ შორის: პროფესიული ლიტერატურის (ბეჭდური, ელექტრონული) შეძენისა და საბიბლიოთეკო ფონდებზე წვდომის ხარჯები;

ბ.ე) სამეცნიერო ღონისძიებისა (კონფერენცია, კონგრესი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯებს (რეგისტრაციის გადასახადს, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს. აღნიშნული ქვეკატეგორია არ მოიცავს ვიზისა და დაზღვევის ხარჯებს);

ბ.ვ) პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯებს;

ბ.ზ) კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის ხარჯებს;

ბ.თ) კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯებს, მათ შორის სტატიის/მონოგრაფიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გ) ზედნადები ხარჯები (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში **1500** ლარს). აღნიშნული კატეგორია უნდა მოიცავდეს კავშირგაბმულობის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, მიზნობრივი/მუნიციპალური დასუფთავების, საბანკო მომსახურების, გრანტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შრომითი დანახარჯების, პატენტის მიღებასთან და მისი ძალაში შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სატენდერო მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა არაპირდაპირ ხარჯებს (აღნიშნული კატეგორია არ მოიცავს ამ მუხლის ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს).

4. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის თანადაფინანსებას. თანადაფინანსების შემთხვევაში ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების დამადასტურებელი წერილი თანხის მითითებით.

5. ახალგაზრდა მეცნიერის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

6. გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის შეძენა.

7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი ქართულ და ინგლისურენოვანი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია (დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები) - ახალგაზრდა მეცნიერი და მენტორი ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში, ქმნიან „მეცნიერის პროფილს“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ

მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV-ები, ექსპორტირდება და იტვირთება პროექტში (დანართი 4); **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით**. კონსულტანტის CV შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმატით და მისი ქართული თარგმანი არ საჭიროებს დამოწმებას თარჯიმანთა ბიუროს მიერ. CV-ები იტვირთება პროექტში PDF დოკუმენტების სახით ახალგაზრდა მეცნიერის მიერ.

დ) მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილები - Letter of Commitment (დანართი 5). უცხოელი მეცნიერის შემთხვევაში, თანხმობის წერილი ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

ე) საქართველოში მოღვაწე კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა 2024 წლის მდგომარეობით, საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). უცხოეთში მოღვაწე კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა 2024 წლის მდგომარეობით ან/და ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია.

ვ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 6, ივსება GMUS-ში);

ზ) პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 7, ივსება GMUS-ში);

თ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (დანართი 8, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით) შესაბამისი თანხის მითითებით, დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ი) სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, გარდა მასპინძელი დაწესებულებისა) პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ. თანხმობის წერილი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. დოკუმენტის ორიგინალს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (დანართი 9, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 10, გენერირდება GMUS-ით) დადასტურებული მასპინძელი დაწესებულების უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ახალგაზრდა მეცნიერისა და მენტორის ხელმოწერებით.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ახალგაზრდა მეცნიერის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება სტიპენდია;

ბ) მასპინძელი დაწესებულების მიზნობრივი ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის/შპს (უსდ) შემთხვევაში მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ მასპინძელ დაწესებულებას არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება;

დ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ე) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დაწყების წინ.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. ახალგაზრდა მეცნიერი პასუხისმგებელია კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ინგლისური და ქართული ვერსიების იდენტურობაზე.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2024 წლის 7 მარტიდან - 2024 წლის 15 აპრილის 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2024 წლის 25 აპრილის 18:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვასა და გადაგზავნას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) **პროექტის მასპინძელი დაწესებულების რეგისტრაცია** - GMUS-ში „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. ა(ა)იპ-ისა და უსდ-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა 2024 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ;

ბ) **ახალგაზრდა მეცნიერის რეგისტრაცია** – GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა (დიპლომი, სერთიფიკატი და ა.შ.); საქართველოს მოქალაქე პირთათვის, თუკი აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

გ) **მენტორის რეგისტრაცია** – GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება ქართულ და ინგლისურ ენებზე, მასპინძელ დაწესებულებაში 2024 წლის მდგომარეობით აკადემიურ/სამეცნიერო პოზიციაზე დასაქმებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა (დიპლომი, სერთიფიკატი და ა.შ.); საქართველოს მოქალაქე პირთათვის, თუკი აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის პერიოდში გაცემულ დიპლომს არ სჭირდება აღიარება;

დ) **პროექტის რეგისტრაცია** – კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში;

ე) ახალგაზრდა მეცნიერი და მენტორი პასუხისმგებელნი არიან წარმოდგენილი ინფორმაციის

სიზუსტესა და სისრულეზე.

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ."

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:
   ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - მარტი;
   ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - 7 მარტიდან - 15 აპრილის 16:00 სთ-მდე;
   გ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;
   დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა – 25 აპრილის 18:00 სთ-მდე;
   ე) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა – აპრილი - მაისი;
   ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება – ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ – მაისი;
   ზ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ – ივნისი - ნოემბერი;
   თ) დამოუკიდებელი ექსპერტებისგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით რანჟირებული სიების შედგენა კონკურსის ბიუჯეტის გათვალისწინებით და შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება – ნოემბერი - დეკემბერი;
   ი) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება – ნოემბერი - დეკემბერი;
   კ) კონკურსში გამარჯვებულ ახალგაზრდა მეცნიერთან და მასპინძელ დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება – ნოემბერი - დეკემბერი.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:
   ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;
   ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.
   გ) **დამოუკიდებელ ექსპერთა/ექსპერტთა ჯგუფების მიერ შინაარსობრივი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში დადგინდება კონკურსის მონაწილის მიერ სამართლებრივი ან/და ეთიკის ნორმების**

დარღვევა. ყველა ასეთი პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შეფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. პროექტების შეფასება განხორციელდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფების მიერ. ფონდი უზრუნველყოფს, პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნოს ექსპერტს, რომელიც პროექტის წარმდგენმა დაასახელა არასასურველ ექსპერტად.

3. პროექტების შეფასების პროცედურა განხორციელდება შემდეგი წესით:
   ა) თითოეული პროექტი შეფასდება 2 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;
   ბ) ახალგაზრდა მეცნიერს მიეცემა შესაძლებლობა გაეცნოს დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებას და სურვილის შემთხვევაში მოამზადოს განმარტებითი/დამაზუსტებელი შეპასუხება;
   გ) ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებებისა და ახალგაზრდა მეცნიერის შეპასუხების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა ექპსერტთა ჯგუფის (პანელის მიერ) და პროექტის საბოლოო ქულისა და შეფასების შემუშავება კონსესუსის წესით.

5. ექსპერტთა ჯგუფებისგან (პანელებისაგან) მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით ფონდი უზრუნველყოფს რანჟირებული სიების დადგენას მიმართულებების მიხედვით, გამარჯვებული პროექტების გამოვლენასა და დამტკიცებას ფოდნის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად რომელსაც ფონდი გამოაქვეყნებს შეფასების ეტაპის დაწყებამდე.

6. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების მაქსიმალური 27 ქულიდან 15 ან მეტი ქულის მიღება.

7. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონეს პროექტს.

8. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის ექსპერტთა შეფასებების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ ახალგაზრდა მეცნიერთან და მასპინძელ დაწესებულებასთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები დეტალურად.

2. საგრანტო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს შეფასებული პროექტის იდენტურ ქართულენოვან ვერსიაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

4. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, საგრანტო თანხა გადაირიცხება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. პირველ ტრანშს ფონდი გადარიცხავს ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის აქტების საფუძველზე.
6. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორცილებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.
2. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-15 მუხლით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტებს.
3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
   ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული აქტივობებისათვის გაწეული ხარჯების შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
   ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
4. ფინანსური მონიტორინგის დროს მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის (მუხლის) ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის შიგნით, ქვეკატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებს ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის მთლიანი ოდენობის გაზრდას და არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას.
5. **ფინანსური და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, აგრეთვე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გაწევაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები (მასპინძელი დაწესებულება და ახალგაზრდა მეცნიერი).**
6. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.
7. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10

კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული მომართვის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია განიხილოს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროექტის ხანგრძლივობა გააგრძელოს მაქსიმუმ 1 წლის ვადით, დამატებითი დაფინანსების გარეშე.

8. ფონდი უფლებამოსილია შეაფასოს მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესი და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა. შეფასების პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს დარგის ექსპერტი. შემოწმების შედეგად მიღებული აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

9. გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ტრანშის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა) ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე დასრულებიდან 3 წლის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს ინფორმაცია ზედნადები ხარჯების მუხლიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.

10. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

11. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

12. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღების მიმართ

1. გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Web of Science, ERIH plus ბაზებში.

2. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს მასპინძელი დაწესებულების დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/ სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია და სხვა ბეჭდვით პროდუქცია) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

5. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერზე.